საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2024 წლის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლით განსაზღვრული ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის შესახებ ანგარიშს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში (შემდგომში - სამინისტრო) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით 2024 წელს სულ შემოსულია 89 განცხადება, აქედან:

- საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 41 შემთხვევაში;

- ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა 10 განმცხადებელს, კერძოდ: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის ,,ვ'' ქვეპუნქტის შესაბამისად განმცხადებელს ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა 3 შემთხვევაში; ერთი განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე, დაინტერესებული პირის წინასწარი თანხმობით, გადაიგზავნა სხვა უწყებაში, ხოლო 6 განმცხადებელს განემარტა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია არ იყო დაცული საგარეო საქმეთა სამინისტროში.

- განხილვის პროცესშია - 38 განცხადება.

რაც შეეხება პერსონალურ მონაცემებს, სამინისტრო ახორციელებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას შემდეგი ფუნქციების განხორციელებისას:

- თანამშრომელთა პირადი საქმეების შედგენისას;
- სტაჟიორთა და პრაქტიკანტთა პირადი საქმეების შედგენისას;
- დიპლომატიური სამსახურის რეზერვში/მოხელეთა რეზერვში ჩარიცხულ პირთა პირადი საქმეების შედგენისას;
- ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეთა დოკუმენტაციის დამუშავებისას;
- საქართველოს მოქალაქეთათვის საკონსულო მომსახურების გაწევისას;
- საზღვარგარეთ მყოფი/მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვისა თუ რეალიზაციის მიზნით საკონსულო დახმარების გაწევისას (სამოქალაქო მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ინფორმაცია სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის კუთხით, ფინანსური მდგომარეობა, ინფორმაცია მემკვიდრეობის თაობაზე, და სხვა);
- საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისას;
- საქართველოს სამსახურებივი სარგებლობის პასპორტების გაცემისას;
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემისას;
- საზღვარგარეთ გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქის საქართველოში გადმოსვენებისას;
- ექსტრადიციასთან და მსჯავრდებულის გადაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებებისას;
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს ვიზის, მათ შორის, დიპლომატიური და სპეციალური ვიზების გაცემისას;

- საქართველოში საზღვარგარეთის სახელმწიფოთა საკონსულო დაწესებულებების გახსნისა და საკონსულო დაწესებულებების მუშაკთა დანიშვნის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებისას;
- საქართველოში საზღვარგარეთის დიპლომატიური წარმომადგენლობების, დიპლომატიური მისიების, საკონსულო დაწესებულებების, თავდაცვის, საზღვაო და საჰაერო ატაშეების, მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური წარმომადგენლობებისა და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დაწესებულებების თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაციის დამუშავებისას;
- კანონმდებლობით სამინისტროსათვის დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულებისას.

ამასთან, აღნიშნული კატეგორიის ინფორმაციის შენახვა სამინისტროში წარმოებს, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური ფორმით. ორივე შემთხვევაში, ინფორმაციის შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესი დაცულია. რაც შეეხება აღნიშნული კატეგორიის ინფორმაციის მესამე პირისათვის გადაცემას, იგი ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესის შესაბამისად.

ასევე, გაცნობებთ, რომ ,,საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2021 წლის 12 ოქტომბრის N01-202 ბრძანების შესაბამისად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი თეა ლეკვეიშვილი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ამავე დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.